

შეთანხმება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 18 აგვისტოს
№127 ხელშეკრულებაზე.
(NAT200009715)

დაბა მესტია

1 ოქტომბერი 2020 წელი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოადგენილი მესტიის მუნიციპალიტეტის მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, შპს „კომპი“ (435892296) მისი დირექტორის გიორგი ჯაფარიძის სახით (შემდგომში- მიმწოდებელი), შპს „კომპის“ 2020 წლის 15 სექტემბრის წერილის, ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №187 მოხსენებითი ბარათისა და მხარეთა შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №127 ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ლახირსა და სოფ. ჩვაბიანიში საყრდენი კედლების მშენებლობის (NAT200009715) თაობაზე მხარეთა შორის 2020 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული №127 ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში და დამტკიცდეს შპს „კომპის“ მიერ წარმოადგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, მისი 2020 წლის 15 სექტემბრის წერილის და ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №187 მოხსენებით ბარათში მითითებული ცვლილებების შესაბამისად.
 - 1.1. შეთანხმებაზე თანდართული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (დანართი 1)
 - 1.2. აღნიშნულ მომართვასა და მოხსენებით ბარათში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, დამატებითი სამუშაოების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 6072 (ექვსი ათას სამოცდათორმეტი) ლარს, რომელიც დაფინანსდეს 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
 - 1.3. აღნიშნული ცვლილების შედეგად, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 67561 (სამოცდაშვიდი ათას ხუთასსამოცდაერთი) ლარით (დღგ-ს ჩათვლით) და შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.
2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-127 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი:
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 235895046
მერი
კაპიტონ ჟორჟოლიანი

მიმწოდებელი:
შპს „კომპი“
ს/კ 435892296
დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე